კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ	
სეგმენტი	მოსწავლეები
კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	VIII კლასი
მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად	იგავი “ძუნწი და ოქრო”, ავტორი სულხან-საბა ორბელიანი
ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში (მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფინედუს ვებგვერდს)	დაზოგვა, დაზღვევა, ფინანსური თაღლითობა და უსაფრთხოება, ფინანსების მართვა, ქველმოქმედება;

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები (მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)	შემთხვევის განხილვა (იგავში წარმოდგენილი ქეისის განხილვა, კითხვების დასმა) - ეს მეთოდი მოსწავლეებს ეხმარება საკითხის უკეთ გააზრებაში; დისკუსია (პრობლემის გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებზე მსჯელობა-პრობლემების ხე) - ეს მეთოდი მოსწავლეებს ეხმარება მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენასა და სწორი დასკვნების გამოტანაში; ელექტრონული თამაში - (ფინანსური ცნებების აღმოჩენა რაც შეიძლება სწრაფად) - ეს მეთოდი მოსწავლეებს ეხმარება ერთი შეხედვით რთული ტერმინები დაიმახსოვრონ მარტივად, თან დავალება სახალისოა, ელექტრონული რესურსები მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ) როლური თამაში - (ბანკში ანაბრის გახსნის ინსცენირება ეკომეგობრული თოჯინების გამოყენებით) - ეს მეთოდი მოსწავლეებს ეხმარება სხვადასხვა კუთხიდან დაინახონ და შეაფასონ სიტუაცია) სამაგიდო თამაშით სწავლება („ფინანსური ცნებების დომინო“) - მოსწავლეები ხალისით განიხილავენ სხვადასხვა ფინანსურ სიტუაციებს და უკავშირებენ რომელიმე ფინანსურ ცნებას; ამ გზით მათ კრიტიკული აზროვნება უვითარდებათ;
აქტივობის აღწერა (აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)	აქტივობა 1 - მოსწავლეებისთვის გაკვეთილის მიზნის გაცნობა, მათი მოლოდინების მოსმენა; მხატვრული ნაწარმოების დარიგება; (3 წთ) აქტივობა 2 - კითხვების დასმით გზით იგავში წარმოდგენილი ქეისის განხილვა; მოსწავლეებმა ჯგუფებში წაიკითხეს იგავი; მასწავლებელი მათ უსვამს შეკითხვებს, რათა დარწმუნდეს, რომ იგავის შინაარსი ყველა მოსწავლისთვის გასაგებია; ამის შემდეგ მასწავლებელი სვამს შეკითხვას “ფინანსებთან დაკავშირებულ რომელ პრობლემებს ხედავთ ტექსტში”? მსჯელობით და დისკუსიით მოსწავლეები გამოკვეთენ ორ ძირითად პრობლემას: რესურსების არგამოყენება/არასათანადოდ გამოყენება და დანაზოგის არასაიმედო ადგილას განთავსება; (7 წთ) აქტივობა 3 - პრობლემების ხე- მოსწავლეებმა ჯგუფებში იმსჯელეს მათ მიერ გამოკვეთილი პრობლემების გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებზე. შედეგად, შეავსეს პრობლემების ხე და გააკეთეს მცირე პრეზენტაციები. (10 წთ) აქტივობა 4 - იგავის სიუჟეტის შეცვლა - მოსწავლეებმა გააქტიურეს საკუთარი შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება. მათ შეცვალეს იგავის სიუჟეტი და დაწერეს რა მოხდებოდა იგავის პერსონაჟს ფინანსური რესურსების სწორი გამოყენება და დანაზოგის უსაფრთხო ადგილას შენახვა რომ სცოდნოდა; შეცვლილ სიუჟეტში გამოიკვეთა ისეთი ფინანსური ცნებები, როგორიცაა ფინანსების მართვა, ქველმოქმედება, დაზოგვა, საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობა; (5 წთ) აქტივობა 5 - მოსწავლეები შეთანხმდნენ, რომ დანაზოგის განთავსების ყველაზე უსაფრთხო გზა საბანკო ანაბარია, ამიტომ სპონტანურად გაითამაშეს ბანკში ანაბრის გახსნის ინსცენირება ეკომეგობრული თოჯინების გამოყენებით. როლურ თამაშში მომხმარებელმა მიიღო ამომწურავი ინფორმაცია სხვადასხვა ბანკის ოპერატორებისგან და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტა დეპოზიტის გახსნა სასურველ ბანკში; (20 წთ)

	აქტივობა 6 - შემდეგი დავალება მოსწავლეებმა #ელექტრონული #რესურსის #Learningapps- ის გამოყენებით შეასრულეს. მოსწავლეებმა ასოების დაფაზე მოძებნეს ძირითადი ფინანსური ცნებები, რომლებიც შემდგომ იგავის შინაარსს და შეცვლილ სიუჟეტს დაუკავშირეს. კიდევ ერთხელ ვიმსჯელეთ, რას ნიშნავს: დაზოგვა, დაზღვევა, ფინანსური თაღლითობა და უსაფრთხოება, ფინანსების მართვა და ქველმოქმედება; (10წთ) დავალება იხილეთ ბმულზე: https://learningapps.org/watch?v=pa88pcfpt24 აქტივობა 7 - სამაგიდო თამაში “ფინანსური ცნებების დომინო” - მოსწავლეებს დაურიგდათ დომინოს მსგავსი ქაღალდის ფირფიტები, სადაც წარმოდგენილი იყო სიტუაციები 5 ძირითად ფინანსურ ცნებასთან მიმართებით (დაზოგვა, დაზღვევა, ქველმოქმედება, ფინანსების მართვა, ფინანსური თაღლიღობა და უსაფრთხოება). მოსწავლეებს ლოგიკურად უნდა დაეკავშირებინათ სიტუაციები ერთმანეთთან და დომინოს პრინციპით მიეწყოთ ფირფიტები ერთმანეთისთვის. კლასში გაიყო ორ ნაწილად, ჯგუფის მიერ თითო სწორად დადებული ფირფიტა ფასდებოდა 1 ქულით. გაიმარჯვა იმ ჯგუფმა, რომელმაც მეტი ქულა დააგროვა; (15 წთ) აქტივობა 8 - გაკვეთილის შეჯამება; მასწავლებლის მიერ მოსწავლეების შეფასება-სიტყვიერი უკუკავშირი; მოსწავლეთა სიტყვიერი უკუკავშირი ჩატარებული გაკვეთილის შესახებ; (5წთ) აქტივობა 9 - გასასვლელი ბარათების შევსება მოსწავლეების მიერ; (3-2-1 სტრატეგია, 3 რამ, რაც ამ გაკვეთილზე ვისწავლე; 2 რამ, რაზეც მინდა, რომ უფრო მეტი გავიგო; 1 რამ რასაც ცხოვრებაში გამოვიყენებ) (5წთ)
შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ (მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)	იგავის გამოყენებით მოსწავლეებმა შეძლეს და სიღრმისეულად გაიაზრეს ისეთი ფინანსური საკითხების არსი, როგორიცაა დაზოგვა, დაზღვევა, ქველმოქმედება, ფინანსების მართვა, ფინანსური თაღლითობა და უსაფრთხოება; მოსწავლეებმა გამოიტანეს დასკვნები, რომ მნიშვნელოვანია ადამიანს საკუთარი ფინანსური რესურსების სწორი გამოყენება შეეძლოს. ფინანსების სწორი მართვით, შესაძლებელია ჩვენი მიზნების ასრულებაც და ამავდროულად დანაზოგის გაკეთებაც; ასევე, აუცილებელია დანაზოგის ისეთ უსაფრთხო ადგილას განთავსება, როგორიცაა, საბანკო ანაბარი; ამით დაცული ვიქნებით, ფინანსური თაღლითობის შემთხვევებისგან, ამავე დროს მივიღებთ დამატებით სარგებელს ბანკისგან; აღნიშნული შედეგი გავზომე მოსწავლეთა უკუკავშირებით; სიტყვიერი და წერილობითი უკუკავშირების საფუძველზე, შემიძლია დავასკვნა, რომ ჩატარებული ღია გაკვეთილის მიზანი მიღწეულია; მოსწავლეებს მკვიდრ წარმოდგენებად დარჩათ გონებაში ზემოთ წარმოდგენილი მიგნებები;

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ